

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2022 წლის 3 ივნისი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ნორმატიული აქტების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №48 დადგენილებაში. (www.matsne.gov.ge 28/12/2017 (010260020.35.167.016339).

მუხლი 2

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №48 დადგენილების დანართი №1-ის „ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“ ქვეპუნქტი:

„ფ) ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით ამზადებს სამართლებრივ აქტებს.“.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

